

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდას“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში თაობაზე

4 იანვარი, 2019

წარმოდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და კომენტარებს 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდას“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (სოფ. ჭართალთან დაახლოებით 4.1 კმ სიგრძის მონაკვეთის ცვლილება) პროექტის 2018 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნებული სკოპინგის ანგარიშის თაობაზე.

ზოგადი შენიშვნები

შპს „ენერგოტრანსის“ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა, ძირითადად მოიცავს მცხეთა-მთიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღწერას, ნაკლებად - საპროექტო ტერიტორიის, სოფელ ჭართალის აღწერას.

სკოპინგის ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ დოკუმენტის მომზადების ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიის დასახასიათებლად გამოყენებულია 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) „ქსანი-სტეფანწმინდას“ პროექტის და მასში შეტანილი ცვლილებების ფარგლებში 2017 წელს ჩატარებული კვლევები. შესაძლოა ითქვას, რომ სკოპინგის ანგარიშის მოსამზადებლად არავითარი კვლევა არ განხორციელებულა.

სკოპინგის ანგარიშში, ჩამოთვლილია რიგი საკითხები, რომელთა დაზუსტება მოხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე, შესაბამისად, ისეთი საკვანძო ინფორმაცია რომელიც განსაზღვრავს პროექტის მასშტაბსა თუ მოსალოდნელ ზემოქმედებას შესასწავლი და გაურკვეველია, მაგალითად:

- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები;
- ელ. გადამცემი ხაზების ანძების რაოდენობა და ადგილმდებარეობა;
- გადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის საჭირო მისასვლელი და სამომსახურეო გზების მარშრუტები და პარამეტრები;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მასშტაბი და ზემოქმედების შეფასება;
- ხმაურის გავრცელება და ზემოქმედების შეფასება;
- საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შეფასება;
- ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიების ზუსტი ფართობი და ნიადაგის მოცულობა;
- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, ფრინველებზე ზემოქმედების რისკები;
- სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა;

- საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა;
- მისასვლელი გზების განთავსების ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება;
- გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების განსაზღვრა.

სკოპინგის ანგარიშის ავტორი ირწმუნება რომ: „ზემოქმედების შეფასება გაკეთდა როგორც უშუალოდ ეგზ-ს ასევე მისი მშენებლობის ორგანიზებისთვის საჭირო მისასვლელი გზების მოწყობის გათვალისწინებით“ (გვ.7). მაშინ, როდესაც თავად ანგარიშში ვკითხულობთ, რომ დასაბუთებულია მისასვლელი გზების რაოდენობა, პარამეტრები და მარშრუტი, ასევე გაურკვეველია, როგორ შეაფასეს ზემოქმედება, იმის გათვალისწინებით, რომ რიგი კვლევები არ ჩატარებულა.

დოკუმენტში დაუბუთებულია ინფორმაცია დაგეგმილი გადამცემი ხაზის პარამეტრებისა და საპროექტო ანძების რაოდენობის, მათი განთავსების ზუსტი წერტილების შესახებ. ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში, განსხვავებული მონაცემებია წარმოდგენილი ანძებისა და საპროექტო მონაკვეთის შესახებ. ზოგან ვკითხულობთ რომ შეცვლილი დერეფანი მოიცავს №125 და №131 საყრდენებს შორის მონაკვეთს, ზოგან №126 და №130-ს ან №125 და №133 მონაკვეთს. საბოლოო ჯამში, გაუგებარია კონკრეტულად რა მონაკვეთს ეხება პროექტი. საჭიროა, დაზუსტდეს საპროექტო ანძების რაოდენობა და საპროექტო მონაკვეთი.

გარდა ამისა, დოკუმენტის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ მოცულობითი ნაწილი ეთმობა მცხეთა-მთიანეთის დაცული ტერიტორიების აღწერას, დოკუმენტის თანახმად კი - დაცულ ტერიტორიაზე ირიბი ზემოქმედება მხოლოდ ორნითოფაუნაზეა მოსალოდნელი. დოკუმენტიდან არ ჩანს, უშუალოდ რომელი დაცული ტერიტორია ექცევა ირიბი ზემოქმედების ქვეშ.

მნიშვნელოვანია, ის გარემოება, რომ არ ჩატარებულა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და არ გამოვლენილა გეოლოგიურად საშიში უბნები. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის რელიეფის დახრილობის გამო ატმოსფერული ნალექის დროს მიმდინარეობს ნიადაგის ჩამორეცხვის პროცესი. შესაბამისად, განხილული უნდა იყოს რამდენად უსაფრთხოა ასეთ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება.

დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან შერბილებისათვის.

გემოთჩამოთვლილი საკითხების ასახვა სკოპინგის ანგარიშში მნიშვნელოვანია, რადგან სათანადოდ მოხდეს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება.

ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება

დოკუმენტი არ ქმნის სურათს ბუნებრივ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებისა და მისი სახეების შესახებ, რადგან არ არის დასახელებული არც ერთი სახეობა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ბინადრობს ან მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეშ ექცევა, მათ შორის, არც ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცულ სახეობები. ცხადია, რომ ბიომრავალფეროვნებაზე კვლევა, ზოგადი მონაცემების მისაღებად სკოპინგის ეტაპზე არ ჩატარებულა, რაც დოკუმენტის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს. დოკუმენტის ავტორის პოზიცია, რომ საპროექტო ტერიტორიების მიმდებარედ ანალოგიური ჰაბიტატებია გავრცელებული (2015 წლის ჩატარებული კვლევის მიხედვით) და მშენებლობის პერიოდში ფაუნის წარმომადგენლების გადანაცვლება მოხდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ანალოგიურ ჰაბიტატებში, კომიკურია.

სკოპინგის ანგარიშში ფრინველები მხოლოდ დაცული ტერიტორიის ქვეთავშია ნახსენები (ქვეთავი 3.6): „პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე არ მოახდენს პირდაპირ ზემოქმედებას, თუმცა, ეგხ-ს ექსპლუატაციის პირობებში არსებობს აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილ ორნითოფაუნაზე ზემოქმედების რისკები. გზმ-ს ეტაპზე, შეფასებული იქნება ეგხ-ს ექსპლუატაციის ეტაპზე ფრინველებზე ზემოქმედების რისკები და შემუშავებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები“ (გვ.22). ამრიგად, დოკუმენტში განხილული არ არის ფრინველებზე ზემოქმედება და არც შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები. გაურკვეველია, როგორ მოხდება ფრინველებზე ზემოქმედების რისკების შესწავლა; მაგალითად, ჩატარდება თუ არა საპროექტო ტერიტორიაზე ფრინველთა ბუდეების აღრიცხვა და ა.შ. აგრეთვე, უცნობია მოხდება თუ არა გზმ-ში ხელფრთიანებზე ზემოქმედების შესწავლა.

დოკუმენტში მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე არსებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობაა აღწერილი და არა უშუალოდ საპროექტო ტერიტორიისთვის დამახასიათებელი, მაშინ როდესაც გადამცემი ხაზი კვეთს ტყით დაფარულ ტერიტორიებს. გაურკვეველია, გზმ ანგარიშში წარმოდგენილი იქნება თუ არა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჭრას დაქვემდებარებული სახეობების ნუსხა, ან თუ მოხდება მცენარეების გადარგვა და მათზე შესაბამისი მოვლის ღონისძიებების განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ გადამცემი ხაზი კვეთს არაგვის შესართავს, ზოგადი ინფორმაცია დოკუმენტში წყალში მობინადრე ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილი არ არის.

დოკუმენტში ჰაბიტატების აღწერა მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა, არაა განხილული მათზე მოსალოდნელი ზემოქმედება. აგრეთვე, დოკუმენტიდან არ ჩანს გზმ-ს ეტაპზე მოხდება თუ არა ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება.

პროექტის ადამიანის ჯანრთელობაზე ზემოქმედება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოსახლეობის წინააღმდეგობა გადამცემი ხაზების პროექტის განხორციელებისას უპირატესად განპირობებული იყო ელექტრომაგნიტური გამოსხივების ნეგატიური ზემოქმედების რისკებით ადამიანის ჯანრთელობაზე. ამასთან, საქმიანობის განმახორციელებელი აღნიშნავს, რომ „მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში“ 500 კვ ძაბვის ეგხ-ს უსაფრთხოების ზონად მიღებულია 30 მ განაპირა სადენიდან. რადგან, პროექტის თანახმად, გადამცემ ხაზსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის დაშორება 140 მ-ია, ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილება¹, რომელიც უშუალოდ მოსახლეობის დაცვას ითვალისწინებდა გადამცემი ხაზების მიერ წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ველის უარყოფითი ზემოქმედებისაგან, 2007 წელს გაუქმდა და მასში ფიქსირებული უახლოესი მანძილი ელექტროგადამცემი ხაზების ღერძიდან დასახლებულ პუნქტამდე 500 კვტ-750 კვტ-მდე ძაბვის ხაზებისთვის - 250 მეტრი იყო.

გადამცემი ხაზების ადამიანის ჯანრთელობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ზემოქმედების თაობაზე შეთანხმებული პოზიციის არქონის პირობებზე, მთავრობებმა უნდა იხელმძღვანელონ ე.წ. „წინდახედულობის პრინციპით“.

¹ საქართველოს შრომის ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება "საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ", 2003, მუხლი 17

წინდახედულობის პრინციპით მოქმედება კი გულისხმობს ახალი ხაზების მშენებლობის შემთხვევაში ნაგებობის დასახლებული პუნქტებიდან მაქსიმალური მანძილით დაშორებას.

ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის ადამიანის ჯანრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისას, რაც სკოპინგის ანგარიშში არ არის.